

კრიტიკული პოლიტიკის სკოლა

// ახალი შრომა: გლობალური და ადგილობრივი გამოწვევები

სკოლის თემატიკა და ძირითადი სილაბუსი:

1	შრომის აღიარება, აღიარების მნიშვნელობა - ახალი ტიპის შრომა ახალი ტიპის ეკონომიკაში	70-იანი წლების შემდეგ გლობალურმა ეკონომიკამ ტრანსფორმაცია განიცადა. პერიოდს, რომელსაც ნეოლიბერალიზმის დასაწყისად ახასიათებენ, დიდი გავლენა იქონია შრომის ახალი ფორმების წარმოქმნაზე. პირველი ლექციაზე ვისაუბრებთ ახალი ეკონომიკის და შრომის უერთიერთანაკვეთაზე.
2	ახალი მშრომელის ჩამოყალიბება, ახალი შრომის ეტიკა და ორგანიზების გამოწვევები - როგორ გაართულდა პროფესიული კავშირების საქმიანობა ახალ შრომის პირობებში	ახალი შრომის ეტიკის და ტიპის ჩამოყალიბებამ, სრულიად განსხვავებული გამოწვევების წინაშე დააყენა პროფესიული საქმიანობები. პოლიტიკური და საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად გარდაიქმნა კოლექტიური ბრძოლის და შეთანხმებების ლოგიკა. რამაც პროფესიული კავშირები დააყენა გამოწვევების

		წინაშე მოეხელთებინა ახალი შრომის პროცესები. მეორე ლექციაზე საუბარი იქნება თანამედროვე პროფესიულ კავშირებზე.
3	შრომის ახალი საერთაშორისო დანაწილება: შრომა, საქონლი და მიწოდების ჯაჭვები	შრომის საერთაშორისო დანაწილებამ ახლებურად დააყენა შრომის საერთაშორისო დანაწილება. პოსტინდუსტრიალიზაციამ კი შექმნა საქონლი წარმოების, შრომის და მიწოდების ჯაჭვების სხვადასხვა ტიპები, რაც პირდაპირი გამოძახილია ეკონომიკური გლობალიზაციის. მესამე ლექციაზე საუბარი იქნება შრომის როლზე გლობალურ ეკონომიკაში, თუ როგორ იშლება და იგება ტრადიციული და თანამედროვე წარმოება საქონლის.
4	პრეკარიული და არაფორმალური შრომა	პრეკარიული და არაფორმალური შრომა თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. პრეკარიული შრომა, რომელიც შრომის არასტაბილურობაზე მიუთითებს, მრავალი სოციოლოგის, ისტორიკოსის თუ ანთროპოლოგისთვის სათავეს სწორედ მე-20 საუკუნის მეოთხედიდან იღებს, რასაც ხშირად არაფორმალური შრომის საკითხები ემატება.
5	შრომის ანტერპრენიარიზმი - მშრომელი, როგორც ანტერპრენერი	შრომის ენტერპრენიარიზმი ახალი ეკონომიკის შექმნილი პროცესია. თუკი ინდუსტრიულ ეკონომიკაში შრომის დისციპლინას სხვადასხვა ინსტიტუტები ახორციელებდნენ, დღეს მშრომელებს საკუთარი სამუშაო ძალის მიღმა, საკუთარი

		პიროვნების ბაზარზე მორგება ესაჭიროებათ. ექციაზე ვისაუბრებთ შრომის ანტეპრენიარიზმის და მშრომელის როგორც ანტეპრენერის ფენომენზე.
6	შრომა კულტურის ინდუსტრიაში	საქართველოში კულტურის ინდუსტრიის მზარდი ტენდენციაა. რასაც ამ სფეროში დასაქმებული ახალგაზრდების რაოდენობა და მოთხოვნა ადასტურებს. კულტურის ინდუსტრიაში დასაქმებულების სპეციფიკა, ეთიკა და მოთხოვნები კი განსხვავდება. ლექციაზე ამ სფეროს გამოწვევებზე და მასში შრომის როლზე ვისაუბრებთ.
7	შრომა ციფრულ სამყაროში: ინტერნეტი და შრომასთან გაუცხოება	ინტერნეტის მოხმარების და მასზე მოთხოვნის დრამატულ ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ციფრული შრომის მასშტაბი. რამაც წაახალისა ახალი ციფრული შრომის პრაქტიკები და შრომის ორგანიზებაში ინოვაციური მიდგომები. შრომის ეს ფორმა ხშირ შემთხვევებში დაუცველი, დაურეგულირებელი და აუნაზღაურებელია.
8	ახალი/თავისუფალი ეკონომიკური ზონები.	თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონების გაჩენა, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვა სახელმწიფო სუვერენიტეტისა და შრომითი სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით.
9	მშრომელთა მოძრაობების ტრანსფორმაცია: ახალი დღის წესრიგების ძიებაში	მშრომელთა და მემარცხენე სოციალური მოძრაობები შრომის ცვლილებაში ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რაც მათი გაერთიანებისა და

		წინააღმდეგობის ფორმებზე აისახა. შრომის დანაწილების ახალმა სტრუქტურამ მშრომელთა მოძრაობების ფრაგმენტაცია და დანაწევრება გამოიწვია. რამაც შეასუსტა წინააღმდეგობის მასშტაბი და შეამცირა სოციალური ცვლილებების გამომწვევი ნაბიჯების გადადგმის შანსები.
10	შრომის რობოტიზაცია, კოვიდი და საქართველოს როლი გლობალურ ეკონომიკაში.	ბოლო ლექციაზე ვისაუბრებთ შრომის ტრანსფორმაციაზე, რობოტიზაციაზე, ვირუსებზე და საქართველოს გლობალურ როლზე. კოვიდის გავრცელება მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტექნოლოგიების დანერგვას და ფიზიკური, მექანიკური სამუშაოს ჩანაცვლებას. ლექციაზე საუბარი იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებზე, გამოწვევებზე და მომავლის პერსპექტივაზე.

პროექტი ხორციელდება „ღია საზოგადოების ფონდის“ მხარდაჭერით. დოკუმენტში მოცემულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კრიტიკული პოლიტიკის პლატფორმა და ის შეიძლება არ გამოხატავდეს ღია საზოგადოების ფონდის პოზიციებს. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.